

"24 საათის" ფიქციური ნომერი
***2424**

"ნაბუკო", ყარაბაღი
და მსოფლიოს
"გადატვირთვა"

A4



სტერეას არჩევანი

A4



ახალგაზრდაზე
ეპროვა მარცხით
დაიწყეს

A7



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
ჩვენ გაძლიერებთ ერთმანეთს

გაერთიანებული რესურსები

საქსტა

გაფრთხილება და რეკომენდაციები ადმოსავლეთ ევროპიდან

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ აღმოსავლეთ ევროპა შეაშფოთა. ლიდერებმა, რომლებიც თავის დროზე ევროპის ამ ნაწილის გათავისუფლების და ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის სათავეებთან იდგნენ, აშშ-ს ადმინისტრაციას საგანგებო მიმართვა გაუგზავნეს. ვრცელ წერილში, რომელიც პოლონურმა გაზეთმა ვიბორჩამ გამოაქვეყნა, ავტორები ვაშინგტონისგან მათი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვას, ნატო-ს გაძლიერებასა და რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ.

დიმიტრი ავალიანი

მიმართვას 23 მოქმედი თუ ყოფილი ლიდერი აწერს ხელს. მათ შორის პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტები ლეხ ვალენსა და ალექსანდრ კვასნევსკი, ესტონეთის ყოფილი პრემიერი მარტ ლაარი, ლიტვის, ლატვიის, სლოვაკეთის და რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტები - ვალდას ადამკუსი, ვიარა ვიკე-ფრაიბერგა, მიხაილ კოვაჩი და ემილ კონსტანტინესკუ, ასევე ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ შპველი.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციამ რეგიონის პრობლემები მოგვარებულად მიიჩნია და სხვა, უფრო გადაუდებელ საკითხებს ანიჭებს უპირატესობას, - აღნიშნავენ მიმართვის ავტორები, რომლებსაც ამგვარი მიდგომა ნაადრევად მიაჩნიათ.

საგარეო-პოლიტიკური პრიზონტი კვლავ მოიღრუბლა. ისევე, როგორც თქვენ, ჩვენი მოუთმენლად ველით ევროკავშირის კომისიის დასკვნას რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შესახებ. თუმცა, რეგიონში ამ ომის პოლიტიკური გავლენა უკვე იგრძნობა, - ნათქვამია მიმართვაში, - ბევრი ქვეყანა სულის სიღრმეში შეძრა იმან, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გვერდზე გადადგა, როდესაც რუსეთმა პელსინკის შეთანხმების, პარიზის ქარტიის ძირითადი პრინციპები და იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია, რომელიც ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ალასანიას გუნდი - ახალი პარტია

დათო გაჩიშონია

გუშინ ქორთიარდ მარიოტში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე ალასანიას გუნდად წოდებული ერთობა პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიების ძირითადი პრიორიტეტი ქვეყანაში არსებული პოლარიზებული პოლიტიკური სივრცის შეცვლაა. გუშინდელ შეკრებაზე პარტიის საპროგრამო მიმართულებები, ასევე ძირითადი ფასეულობები და პრინციპები წარმოადგინეს. პარტიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრისა და ახალი პარტიის წესდების მიღების შემდეგ, დამფუძნებელმა ყრილობამ ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიების თავმჯდომარედ ირაკლი ალასანია აირჩია. გარდა ამისა, 350-მა დელეგატმა პარტიის ხელმძღვანელობა დააკომპლექტა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ოპოზიციის პროტესტი და "ზედმეტი" პულტები პარლამენტში

ორშაბათს საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტს ელოდებიან

საპარლამენტო უმცირესობა, პროტესტის ნიშნად, სხდომათა დარბაზს ტოვებს. უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე პოლიტიკურ ოპონენტებს საყვედურობს, რომ მანიფესტაციების წესების გამოკაცრებასთან დაკავშირებული კანონპროექტების პაკეტის განხილვისას, ოპოზიციის არც ერთი შენიშვნა არ იქნა გათვალისწინებული.

გიორგი ასანიშვილი

"ასეთი ცვლილებები პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე არც ერთ ქვეყანაში არ მიიღება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება ოდესმე თავადაც აღმოჩნდნენ ოპოზიციაში," - პოლიტიკურ

ოპონენტებს მიკერძოებულ მიდგომაში ადანაშაულებს თარგამაძე. თავის მხრივ, ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამტკიცებს, რომ სახელისუფლებო ფრაქციის მიერ ინიცირებული ცვლილებები დანაშაულებრივი ხასიათისაა. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ მათი ამოქმედების შემთხვევაში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, ადრე თუ გვიან, საქართველოს ხელისუფლებას ფინანსურ ვალდებულებებს დააკისრებს.

ოპოზიციის მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, გუშინ პარლამენტმა სახელისუფლებო ფრაქციის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მეორე მოსმენით მაინც დაამტკიცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

“აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთთან ურთიერთობების განვითარებას”

აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთთან ურთიერთობების განვითარებას. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში საგარეო ურთიერთობათა არასამთავრობო საბჭოში საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. სახელმწიფო მდივნის თქმით, აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ურთიერთობების წახალისებას დიდ და ამჟამად გლობალურ სახელმწიფოებად ფორმირებად ქვეყნებთან. ასეთ ქვეყნებად კი კლინტონმა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია, ასევე თურქეთი, ინდონეზია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დაასახელა.

სახელმწიფო მდივნის განცხადებით, ამ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება ხელს შეუწყობს მსოფლიოს დღის წესრიგში არსებული საკითხების გადაწყვეტას. “მინდა, აღვნიშნო ამ ამოცანის მნიშვნელობა და მისი თქმით, ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს საკითხების გადასაწყვეტად, როგორებიც არის იარაღის გაუვრცელებლობა, კონტრტერორიზმი, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, კლიმატის ცვალებადობა და ა.შ.

ამავდროულად კლინტონმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ქვეყნებთან ურთიერთშეხების წერტილების ძებნის დროსაც კი აშშ საკუთარ პრინციპებს დაიცავს.

სახელმწიფო მდივანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა უახლოეს თავის ვიზიტს ინდოეთში და ივლისის ბოლოს ვაშინგტონში დაგეგმილ აშშ-ჩინეთის სტრატეგიულ-ეკონომიკურ დიალოგს. “ეს და სხვა შეხვედრები შედეგების გარანტიას ვერ იძლევა. თუმცა ასეთ კონტაქტებს მოქმედებაში მოჰყავს პროცესი და კავშირები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი თანამშრომლობის შესაძლებლობას და ემსახურება აზრთა სხვადასხვაობის გამოხატვას ისე, რომ არ შეიქმნას ზედმეტი ილუზიები,” - განაცხადა კლინტონმა. მან აღნიშნა, რომ პროგრესის მიღწევა უცებ და რყევების გარეშე შეუძლებელი იქნება, თუმცა “ჩვენ გადანყევტილი გვაქვს, ვიართთ ამ გზით.”

ფოსტა

შეკითხვა რედაქციას

“24 საათის” რედაქციას წერილით მიმართა მიხეილ ბეგიაშვილმა. მას აინტერესებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ნორმის განმარტება.

“ვარ თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, დაინტერესებული ვარ იურისპრუდენციით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილში და 266-ე მუხლში მითითებულია გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი. მაინტერესებს, რომელი საგამოძიებო მოქმედებანი იგულისხმება ამ კონკრეტულ მუხლებში მითითებულ საგამოძიებო მოქმედებებში,” - ასეთია მიხეილ ბეგიაშვილის შეკითხვა.

მიხეილ ბეგიაშვილის შეკითხვას პასუხობს ადვოკატი იასონ ბესელია: “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი არეგულირებს საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნას. ხსენებულ მუხლში მითითებულია, რომ: “თუ წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება განეკუთვნება გამოძიების სხვა ორგანოს კომპეტენციას, გამოძიებული პროკურორის თანხმობით გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ გადაგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით”.

გამომძიებელი და პროკურორი თავად განსაზღვრავს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საჭიროებას. ამდენად, საქმის ქვემდებარეობისამებრ გადაგზავნისას გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებებსა და გარემოებებზე.

ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ “თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ ეს საქმე არ განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, იგი ვალდებულია ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორის საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისთვის”.

ამ ნორმის განმარტება გახლავთ შემდეგი: კონკრეტულ საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნას სჭირდება გარკვეული დრო, მინიმუმ, ერთი დღე. კონკრეტულ საქმეზე კი, არამც თუ ერთი დღით, თუნდაც ერთი საათით საგამოძიებო მოქმედების დავვიანებამ, შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი: შეუძლებელი გახდეს მტკიცებულების საპროცესო დამატება, ეჭვმიტანილის დაკავება, რასაც შედეგად მოყვება დამნაშავის დაუსჯელობა ან დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაუცველობა. საპროცესო კოდექსი არ გვაძლევს, იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა გადაუდებელი შესრულება ევალება გამომძიებელს. ასეთ შემთხვევაში გადაუდებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება, მონმის, დაზარალებულის დაკითხვა, ჩხრეკა, ამოღება, ამოცნობის ჩატარება და სხვა.”

ალასანიას გუნდი - ახალი პარტია

პირველი გვერდიდან

თავისუფალი დემოკრატები, პირველ რიგში, ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლაზე იქნება კონცენტრირებული. სამართლებრივი ცვლილებების მისაღწევად ახლად დაფუძნებული პოლიტიკური პარტია ყველა პოლიტიკურ ძალასთან გამართავს კონსულტაციებს. ამავე დროს, პარტია მოწოდებულია, ჩამოაყალიბოს ხელიისუფლების ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავს გადაჭარბებული და უკონტროლო ძალაუფლების თავმოყრას ხელისუფლების რომელიმე რგოლის თუ თანამდებობის პირის ხელში. ამიტომ თავისუფალი დემოკრატები საკონსტიტუციო რეფორმებზე მომუშავე საზოგადოებრივ კომისიასთან ითანამშრომლებს. გარდა ამისა, თუკი იქნება ინტერესთა თანხვედრა, ალასანია მზად არის, შეთავაზებები გადასცეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას. ამასთანავე, ახალი პარტია აპირებს, უახლოეს მომავალში წარმოადგინოს კონკრეტული სტრატეგია სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის პრობლემური დარგების შესახებ. თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარემ 24 საათს განუმარტა, რა განსხვავებული ინიციატივები ექნებათ მათ.

ჩვენ საზოგადოებას წარვედგენთ რეალურ ხედვებს ამა თუ იმ საკითხების მიმართ - თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა; როგორ

უნდა უზრუნველყოთ ჩვენი საზოგადოების და მოქალაქეების უსაფრთხოება; როგორ უნდა დავიწყოთ ჩვენი ურთიერთობების აღდგენა აფხაზებთან და ოსებთან; როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი ხედვა ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ ოჯახში. ამ ყველაფრის შესახებ კიდევ უფრო ღრმა, კონცეპტუალურ დოკუმენტებს შევთავაზებთ საზოგადოებას. ჩვენი მთავარი ხერხია დიალოგი კონკრეტულ მოქალაქეებთან.

თავისუფალი დემოკრატები სექტემბრის ბოლოს ყრილობის მოწყობას გეგმავენ. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ 24 საათს განუმარტა, რომ გაფართოებულ ყრილობაზე, თავისუფალი დემოკრატების შემადგენლობაში ახალი პოლიტიკური ფიგურები გამოჩნდებიან.

გუშინდელ დამფუძნებელ ყრილობაზე კი პარტიის გამგეობის შემადგენლობა აირჩიეს. ზურაბ აბაშიძე, ვიქტორ დოლიძე, ალექსი პეტრიაშვილი, ნინო გოგუაძე, შავლა შავგულიძე, გიორგი ჩიქოვანი, ლევან იზორია და ირაკლი ჩიქოვანი - ასეთია პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. გამგეობის წევრი არ გამხდარა, თუმცა თავისუფალი დემოკრატების რიგებში განწევრიანდა ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობის ფინანსთა მინისტრი დავით ონოფრიშვილი. მან 24 საათს პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზები გაუზიარა: **ვაკვირდებო-**

ევროკავშირის სამეული ოფიციალურ შეხვედრაზე იწყებს

გუშინ ბათუმში ევროკავშირის სამეულის დელეგაცია ჩავიდა. ვიზიტი სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ხორციელდება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, ევროკავშირის ყოფილი და მომავალი თავმჯდომარეები. მათ თან ახლავთ ორგანიზაციის სპეციალური წარმომადგენელი რეგიონში პიტერ სემნები.

ევროკავშირის სამეული ოფიციალურ შეხვედრებს დღეიდან დაიწყებს. ისინი ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე

დავით ბაქრაძეს, ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძეს, სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკოშაშვილს და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს გიგა ბოკერიას შეხვდებიან. ასევე

დაგეგმილია შეხვედრები საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ევროკავშირის სამეული საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის განლაგების ადგილებსაც მოინახულებს.

ოფიციალური შეხვედრების დროს საუბარი იქნება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაფართოების საკითხზე, რის შესახებაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგა-

დი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მიმაჩნია, რომ დღეს არის ის ეტაპი, როცა ქვეყანა ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, კერძოდ, რუსეთის აგრესია საქართველოზე, ასევე ურთულესი ვითარება ეკონომიკაში და დემოკრატიულ განვითარებაში. ონოფრიშვილის აზრით, თავისუფალი დემოკრატები არის თანამედროვე ხედვის პოლიტიკური პარტია ლიბერალური იდეოლოგიით. **თავისუფალი დემოკრატები - ასეთი მიმართულება არის გერმანიაში, ძლიერი პოლიტიკური ძალაა შვეიცარიაში. ახლად შექმნილ პარტიაში კი ჩვენ გვაერთიანებს ძირითადი ღირებულებები: ადამიანის თავისუფლება, უფლებების დაცვა, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.** ონოფრიშვილი პარტიაში ეკონომიკურ საკითხებს გაუწევს კოორდინირებას.

გამგეობის წევრების წარდგენამდე პარტიის ლიდერმა თავისუფალი დემოკრატების ძირითად ფასეულობებზე და პრინციპებზე გაამახვილა ყურადღება. ალასანიას თქმით, **დემოკრატია არის სწორედ ის ფორმა და მმართველობის ინსტრუმენტი, რაც ყველაზე უფრო ეფექტურად დაიცავს მოქალაქეს.** პარტია ორიენტირებული იქნება საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ფენაზე, ყველა მიმართულებით.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე 24 საათს მომავალი

გეგმების შესახებ ესაუბრა.

რეალურად საქართველოს მასშტაბით გავშლით მუშაობას. მოვემზადებით ნებისმიერი დონის არჩევნებისთვის, თუმცა ჩვენითვის პრინციპულია საარჩევნო გარემოს შეცვლა. ამავე დროს, ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ მიზანმიმართულ თემატურ საპროტესტო აქციებში. ასევე გამოირიცხული არ არის, ჩვენ თვითონ დავგეგმოთ გარკვეული აქციები, რადგან დღეს ქუჩაში გამოსული ადამიანები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან და მათ მხარდაჭერა სჭირდებათ. გარდა ამისა, აბაშიძემ ალიანსი საქართველოსთვის მომავალის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ალიანსს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ეროვნულ ფორუმთან , თუმცა მათი გრძელვადიანი დაახლოება ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის. **სამი პოლიტიკური პარტიის ერთობის გაფართოება დამოკიდებული იქნება შემდგომ პოლიტიკურ კალენდარზე,** - განაცხადა აბაშიძემ.

თავისუფალი დემოკრატების დამფუძნებელ ყრილობაზე იმყოფებოდნენ ალიანსში შემავალი რესპუბლიკური პარტიისა და ახალი მემარჯვენეების ლიდერები. დავით უსუფაშვილმა და დავით გამყრელიძემ ალასანიას პოლიტიკური გუნდის პარტიად გარდაქმნა ალიანსი საქართველოსთვის გაძლიერებად აღიქვეს.

ნაბუკოს ეპო

ანობთ, - განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ. თუმცა, მისი თქმით, **ჯერ ვერავინ ახსნა, საიდან მოხვდება იქ გაზი.**

ჩვენ იმას ვემხრობით, რომ ენერგომატარებლების მიწოდება უსაფრთხო და დივერსიფიცირებული იყოს. თუმცა, მიწოდე-

ბა მოქმედ კონტრაქტებს უნდა ეფუძნებოდეს, - განაცხადა მედვედევმა და აღნიშნა, რომ **რაც ევროპისთვის კეთდება, ყველაფერი სასარგებლოა.**

თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცნარმომადგენელმა ევრაზიის ენერგეტიკის საკითხებში რიჩარდ მორნიგ-სტარმა გუშინ აღნიშნა, რომ რუსეთთან **ღია დიალოგის** გამარ-

თვა აუცილებელია. მისი თქმით, იგი **ვერ დაიჯერებს** იმას, რომ გახსადნეს რუსეთის მხრიდან რაიმე სამხედრო საფრთხე ემუქრება. როგორც მორნიგესტარმა განაცხადა, **რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ნაბუკოსთვის შესაძლო საფრთხეს არ უნდა დავეუკავშიროთ.** *საკუთარი ინფორმაცია*

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მევა". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუშაშიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალავანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავექი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რეკლე), ვახა ფაშუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლეივაძე ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული (ტექნიკური): თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გაფრთხილება და რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპიდან

პირველი გვერდიდან

ავტორები აღნიშნავენ, რომ ახალი წევრების ძალისხმევითა და მნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, დღეს ნატო უფრო სუსტად გამოიყურება, ვიდრე ჩვენი განვითარების დროს.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ალიანსის სრულყოფილი წევრები ვართ, ხალხი კითხულობს - მზად არის ნატო იმისთვის, რომ დაგვიცვას შესაძლო მომავალი კრიზისის დროს? - ნათქვამია მმართველში.

ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ რუსულ ენერგორესურსებზე ევროპის დამოკიდებულება შემაშფოთებელია.

ობამამ ნატო-ს ბოლო სამიტზე განაცხადა, რომ აუცილებელია ალიანსის ყველა წევრის თავდაცვის გეგმები მომზადდეს. თუმცა ეს, ავტორების აზრით, საკმარისი არ არის.

ლიად რჩება საკითხი, როგორ უნდა მოვექცეთ რუსეთს. ჩვენი იმედია, რომ ნატო-ში და ევროკავშირში ჩვენი განვითარების შემდეგ მოსკოვი ჩვენს სუვერენი-

ტეტს საბოლოოდ აღიარებდა, არ გამართლდა, - აღნიშნავენ ევროპელი პოლიტიკოსები და დასძენენ, რომ ამის ნაცვლად, რუსეთი მე-19 საუკუნის პოლიტიკის გატარებას ცდილობს.

კერძოდ, რუსეთი ამტკიცებს, რომ პრივილეგიებულ პოზიციაში იმყოფება და უფლება აქვს, ჩაერიოს გადაწყვეტილებების მიღებაში ჩვენი უსაფრთხოების თაობაზე, იყენებს ეკონომიკური ომის აშკარა და ფარულ ინსტრუმენტებს - დაწყებული ენერგეტიკული ბლოკადიდან და პოლიტიკურად მოტივირებული ინვესტიციებიდან, მასმედიის მოსყიდვისა და მანიპულაციის ჩათვლით - რათა საკუთარი ინტერესები გაატაროს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსატლანტიკური ორიენტაცია ეჭვემ დააყენოს.

ავტორები მიესალმებიან ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გადატვირთვას, თუმცა რუსეთისთვის არასწორ დათმობებს ეწინააღმდეგებიან.

აღმოსავლეთ ევროპელი პოლიტიკოსები აშშ-ს ადმინის-

ტრაციას რამდენიმე რეკომენდაციით მიმართავენ. კერძოდ, შეერთებულმა შტატებმა კვლავ უნდა დაადასტუროს თავისი სერიოზული როლი ევროპაში, ხოლო ევროპამ უფრო მეტი მზადყოფნა გამოავლინოს აშშ-სთან თანამშრომლობისთვის.

ავტორები აუცილებლად მიიჩნევენ ნატო-ს ალორძინებას, როგორც ევროპის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტისა. შეცდომა იყო ის, რომ ნატო-ს გაფართოებისას ახალი წევრების თავდაცვის გეგმები არ შემუშავებულა, - აღნიშნავენ მიმართვის ავტორები და ალიანსის მოუწოდებენ, შეიმუშაოს წინასწარი გეგმები, ასევე განალაგოს ჯარები, შეიარაღება და საჭირო მარაგები, რაც ახალი წევრების აგრესიისგან დაცვას დასჭირდება.

გარდა ამისა, რუსეთთან დიალოგში ნატო შეთანხმებული პოზიციით უნდა გამოდიოდეს და მოსკოვის მიმართ მკაცრი პოზიცია დაიკავოს. აშშ-მ ასევე არ უნდა თქვას უარი აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებაზე, რადგან, წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ვაშინგტონისადმი ნდობა შეირყევა.

ავტორებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს აშშ-სა და ევროკავშირის, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობაზე. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ენერგოუსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელობას აღნიშნავენ. ამიტომ, აშშ-ს მხარდაჭერა ამ საკითხში აუცილებელია, განსაკუთრებით პროექტ ნაბუკოს რეალიზაციის საქმეში.

გაზეთის ინფორმაციით, მიმართვა წარდგენილი იქნება კონფერენციაზე, რომელსაც ამერიკელი პოლიტოლოგი, თავის დროზე ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკის ერთ-ერთი თანაავტორი რონ ასმუსი უწევს ორგანიზებას. კონფერენციაში ასევე მონაწილეობას მიიღებს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი.

ოპოზიციის პროტესტი და "ზედმიტი" კულტები პარლამენტში

პირველი გვერდიდან

"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების თანახმად, ტრანსპორტის და ხალხის სავალი ნაწილის გადაკეტვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობას შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილე ხალხის რაოდენობა განაპირობებს. ამასთან, იკრძალება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლებიდან ოცი მეტრის რადიუსში არსებულ ტერიტორიაზე.

"პოლიციის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით კი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს, პოლიციას არალეგალური იარაღის გამოყენების უფლება ენიჭება.

საპარლამენტო ოპოზიციის ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პატიმრობის ვადა 30-დან 90 დღემდე იზრდება.

სახელისუფლებო გუნდში ფიქრობენ, რომ ოპოზიციის ბრალდებები უსამართლოა, რადგან, საკანონმდებლო ცვლილებებით არანაირი ახალი ნორმა არ შემოღის და მხოლოდ დღეს მოქმედი კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები ზუსტდება. რაც შეეხება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის გასაზრდევას, მმართველი გუნდის მხარდამჭერები ამას "წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობას" უკავშირებენ.

"საპარლამენტო ოპოზიციას სურს, რომ შემოდგომაზე რადიკალური ოპოზიციის მხრიდან ისეთივე პროვოკაციის განვითარდეს, როგორიც ამჟამად მიმდინარეობს. ამით მოხდება რადიკალური ოპოზიციის ლი-



დერების დისკრედიტაცია, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება და შესაბამისად, საპარლამენტო უმცირესობის რეიტინგის ანევა," - ასე ხსნიან საპარლამენტო ოპოზიციის გუშინდელ ქმედებებს სახელისუფლებო ფრაქციის წევრები.

ერთადერთი დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობაში, ვინც თანაფრაქციელებისგან განსხვავებული ხედვა დააფიქსირა, თამაზ დიასამიძეა. მართალია, "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებებს მან მხარი დაუჭირა, მაგრამ "პოლიციის შესახებ" კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებებს ხმა არ მისცა.

თამაზ დიასამიძე ასევე ერთადერთი იყო სახელისუფლებო ფრაქციიდან, ვინც ჯონდი ბალათურიას იმ ალტერნატიულ კანონპროექტს დაუჭირა მხარი,

რომელიც ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის 15 დღემდე შემცირებას ითვალისწინებდა. თუმცა, "ქართული დასის" ლიდერს დიასამიძის თანადგომა ვერაფერში წაადგა: მისი ალტერნატიული კანონპროექტი ჩავარდა (1 მომხრე, 51 წინააღმდეგი).

ვინაიდან საპარლამენტო უმცირესობამ (პლუს, უფრაქციო ჯონდი ბალათურიამ და პეტრე მამრადემ) სხდომათა დარბაზი კენჭისყრის დაწყებამდე დატოვა, ამიტომ, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მედვედევის ცხინვალში ჩასვლასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ შემუშავებულ განცხადებას ხმა ვერ მისცეს. გუშინვე, დღის მეორე ნახევარში, სხდომათა დარბაზში დაბრუნებულმა საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ პარლამენტის განცხადებას უერთდებიან.

საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის აზრით,

პოლიტიკური ოპონენტების დარბაზიდან ნასვლამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღებას საფრთხე შეუქმნა.

გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი. მას შემდეგ, რაც სხდომათა დარბაზიდან ჟურნალისტთა ლოჟაში გადანაცვლებულმა პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ დარბაზში მყოფი დეპუტატების რაოდენობა გადათვალა, ვიცე-სპიკერს იქიდანვე გადმოსძახა, რომ დარბაზში იმდენი დეპუტატი არ იჯდა, რამდენი პულტითაც ხმის მიცემა მოხდა. თავის მხრივ, მაჭავარიანმა მანდატურის სამსახურს დეპუტატების რეგისტრაციის შედეგების გადამონება დაავალა.

მოგვიანებით, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა ამ სამსახურის ობიექტურობაში ეჭვი შეიტანა და დეპუტატების სათითაო რეგისტრაცია პირადად დაიწყო. მაჭავარიანი პირობას იძლევა, რომ კანონდამრღვევი კანონმდებლები აუცილებლად დაისჯებიან. კერძოდ, მათ ხელფასიდან თანხები დაეკეთებათ, როგორც ამას პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს.

სავარაუდოდ, გუშინდელზე არანაკლებ დრამატულად განვითარდება მოვლენები უახლოეს დღეებში - საკანონმდებლო ორგანოში დღეისთვის დანიშნული პოლიტიკური დებატები ორშაბათისთვის არის გადატანილი. ეს გადაწყვეტილება პარლამენტმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნით მიიღო, რომელიც პირადად აპირებს დებატებში მონაწილეობას.

საპარლამენტო უმცირესობა ამ შეთავაზებას დაეთანხმა.

პოლიტიკური დებატების პირდაპირი ტრანსლირება ორშაბათს, სავარაოდოდ, "პირველი არხით" მოხდება.

ესპანეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ქვეყნის სუვერენიტეტს

ესპანეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, - ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული შეხვედრისას საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფმა ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის დელეგაციის წევრებმა გააკეთეს. შეხვედრა დახურული ფორმატით გაიმართა და ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის პარლამენტის პრესსამსახურის მეშვეობით გავრცელდა. როგორც შეხვედრაზე ესპანეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა მეტად მნიშვნელოვანია და საქართველო არის სტრატეგიული ქვეყანა სტრატეგიულ რეგიონში.

"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებით," - დასძინა მან. ბაქრაძემ ესპანელ სტუმრებს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ესპანეთი გამოხატავს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე საპარლამენტო ასამბლეების დროს. ესპანეთის კონგრესის დელეგაცია ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობასთან და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ჯო-იჩ-ენი

ჰილარი კლინტონი მოსკოვს შემოდგომაზე ეწვევა

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ორმხრივი საპრეზიდენტო კომისიის მუშაობის სტიმულირებისთვის შემოდგომაზე რუსეთის დედაქალაქს ეწვევა. ორმხრივი საპრეზიდენტო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ბარაკ ობამამ და დმიტრი მედვედევმა გასულ კვირას, მოსკოვის სამიტზე მიიღეს. ამერიკული დიპლომატიის ლიდერმა თავისი გეგმების შესახებ ვაშინგტონში საერთაშორისო ურთიერთობების არასამთავრობო საბჭოში პროგრამული სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა. მოსკოვში ვიზიტის ზუსტი თარიღი კლინტონს არ დაუსახელებია. ჰილარი კლინტონი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსკოვში აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან ერთად ვერ ჩავიდა.

პირველი

ახალი დნმ-ის ლაბორატორია

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაახლოებით ორი წლის წინ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით, გადაეცა დნმ-ის უახლესი ტექნოლოგიის ლაბორატორია, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში მოქმედი პირველი და ერთადერთი დნმ ლაბორატორიაა. ამ ხნის განმავლობაში ამერიკული მხარე საქართველოს დნმ ლაბორატორიას ახალი ტექნოლოგიებით ამარაგებდა. ცოტა ხნის წინ, დნმ-ის ლაბორატორია საქართველოში აშშ-ს საელჩოს დახმარებით კიდევ უფრო თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა. როგორც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი გიორგი ცხაკაია ირწმუნება, ეს ტექნოლოგია იძლევა დნმ-ის კვლევის ცდომილების ნულამდე დაყვანის შესაძლებლობას. შედეგების მიღება უკვე შეიძლება ბიოლოგიური მასალის მცირე რაოდენობით, დამწვარ, დეგრადირებულ მდგომარეობაში ყოფნის, ასევე ძლიერი ხანდაზმული ბიომასალის შემთხვევაშიც.

ეს არის ერთ-ერთი უმაღლესი დონის ლაბორატორია არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ ამ ფარგლებსაც გავცდებით. ამერიკელებმა ჩამოგვიტანეს ისეთი მნიშვნელოვანი დანადგარი, როგორიც არის დნმ ბოქსები, ბიოუსაფრთხოების კარადა, ცენტრიფუგები, ავტოკლავები, მაცივრები და მაცივარსაყინულენი, ავტომატური პიპეტები და სახარჯი მასალა. ეს აპარატურა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დნმ ექსპერტიზების ჩატარების გარანტიაა, - ამბობს გიორგი ცხაკაია.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ინფორმაციით, უახლესი ტიპის აპარატურა ხელს შეუწყობს, როგორც საგამოძიებო საქმიანობას - სისხლის სამართლის საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, ასევე, სავარაუდოდ მამობის დადგენას და რაც მთავარია, მისი გამოყენებით, წლების მიუხედავად, შესაძლებელი იქნება აფხაზეთსა და ოსეთში განვითარებული საომარი მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირება.

აშშ-ის საელჩოს, სახელმწიფო ანტი-ნარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით, საქართველოს დნმ ლაბორატორიის ექსპერტებმა გაიარეს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელსაც ამერიკის დნმ-ის ლაბორატორიის წამყვანი ექსპერტი ლინდა იანკოვსკი ხელმძღვანელობდა.

დღეს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში განახლებული დნმ ლაბორატორიის პრეზენტაცია გაიმართება, რომელსაც საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრებიან.

საკუთარი ინფორმაცია

ტურიზმის განვითარების პერსპექტივა სვანეთში

USAID-ის მხარდაჭერით, მესტიაში სასტუმროები გაიხსნა

ენო ნატროშვილი

ორი რამ ამშვენებს სვანეთს: ბუნებრივი სილამაზე და ეროვნული საგანძური. ხელთუქმნელი ბუნება, მეთორმეტე საუკუნის კომკები, ფრესკები, ხატები, სვანური სამზარეულო და ფოლკლორი, - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სიუხვისა, რისი შეთავაზებაც შეუძლია სვანეთს დაინტერესებული ტურისტისთვის. ბევრი რამ აკლია სვანეთს: გზა, ინფრასტრუქტურა, მუნიციპალური ტრანსპორტი. რეგიონში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა და მიძივა სოციალური ფონი.

სვანეთში სამი სასტუმროს გახსნა (აქედან ერთი უშგულში მდებარეობს), საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება შევაფასოთ, რადგან სამი წლის წინათ ამ პროექტის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელიც კი იყო. თუმცა ყოველი დაიძრა, აღნიშნულ ინიციატივას -მა ბიძგი მისცა. გასულ წელს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ზემო სვანეთი ადგილობრივი ტურიზმის განვითარების სფეროში პრიორიტეტულ რეგიონად დაასახელა. ამ პროექტის ფარგლებში კი მესტია და უშგული ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად იქცა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რომელიც სვანეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას გულისხმობს, რვა პროექტი განხორციელდა: სასტუმროები სვანეთი და მესტია, კაფე სეტი, ინტერნეტ კაფე SVANETI.GE, ველისიპედების გაქირავების სამსახური, ბენზინგასამართი სადგური, სვანეთის ტურისტული ცენტრის მიერ შემუშავებული ახალი მარშრუტები, სუვენირების მაღაზია. უშგულში, ზღვის დონიდან 2400 მეტრზე, პროექტის ფარგლებში გაიხსნა საოჯახო სასტუმრო უშგული და კაფე კოშკი. გარდა ამისა, პროექტმა შეიძინა და დაამონტაჟა სატელეფონო ანტენა მესტიაში, რომელიც უზრუნველყოფს მესტიის ინტერნეტით მომსახურებას, ასევე მოშალდა პრობლემასა და პუბლიკაციები. ვებ-გვერდები სასტუმროებისთვის, ვიდეოკლიპი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბროშურა.

სასტუმროების პრეზენტაცია მესტიაში გასულ კვირას შედგა. პრეზენტაციას USAID-

ის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენლები, ადგილობრივი მთავრობა და მედია ესწრებოდა.

დენ ბერკუშია USAID-ის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი - ჩვენმა პროექტმა, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა სვანეთში ტურიზმის განვითარებას. ნობილია, რომ კერძო სექტორის განვითარება პატარა-პატარა დახმარებებით ხდება. სვანეთი ნამდვილად განვითარდება და ეკონომიკური წინსვლა იქნება. ჩვენ მესტიაში უკვე სამი წელია ვმუშაობთ და შედეგები სახეზეა. სვანეთი უნიკალური კურორტია თავისი ულამაზესი ბუნებით და კულტურით. ვფიქრობ, ის არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში სახელგანთქმულ სამთო კურორტს შვეიცარიაში. განსხვავება მხოლოდ ინფრასტრუქტურასა და სასტუმროების სერვისშია, რისი განვითარების პერსპექტივაც არსებობს."

პეტრე კანკავა, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ზემო სვანეთი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტად არის მიჩნეული. მესტიაში სულ ცოტა ხნის წინ სამი სასტუმროს გახსნა წარმოუდგენელი იყო. ახლა ჩვენ დავესწარი სასტუმროების პრეზენტაციას, რაც უცხოელი ტურისტების ინტერესს ამ კუთხის მიმართ კიდევ უფრო გაზრდის."

გია ქელიძე, მესტიის გამგებელი: მესტიაში სასტუმროების ქსელის განვითარებას ამ პროექტმა მისცა სტიმული. დაგეგმილია მესტიის გზის მშენებლობა, კანალიზაციის რეაბილიტაცია. სვანეთს, როგორც ტურისტულ რეგიონს, დიდი პოტენციალი აქვს. განვითარების მზარდი პერსპექტივა აქვს სამთო ტურიზმს. თუ ეს სფერო პოზიტიურად განვითარდა, მიღებული შემოსავლი იმდენად დიდი იქნება, რომ შესაძლებელია, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების წყაროდ გახდეს."

ტურიზმის დეპარტამენტმა სვანეთში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტად 2007 წელს გამოაცხადა. როგორც USAID-ის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის პიარმენეჯერი ქეთი რეხვიაშვილი განმარტავს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში აბას-თუმანი და სვანეთი შეირჩა. სვანეთში პროექტი გასულ წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ომმა შეგვიშალა ხელი. თავიდან ტურიზმის დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ გრანტის კომპონენტი უნდა ყოფილიყო 175 ათასი დო-



ლარი. ეს იყო ტურიზმის განვითარების პროექტი, რაც ითვალისწინებდა სასტუმროების მოწყობას და ინტერნეტ კაფეს. ცალკე იყო გამოცხადებული თავისუფალი ბიზნესიდეა, რომელიც სხვადასხვა პროექტებს გულისხმობდა. საოჯახო სასტუმროს მოწყობაზე, დაახლოებით, 51 განაცხადი შემოვიდა. მესტიაში დავაფინანსეთ ორი სასტუმრო სვანეთი და მესტია. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. სასტუმროებმა მიიღეს 25-25 ათასი დოლარი. პროექტის ფარგლებში ასევე უშგულში გაიხსნა საოჯახო სასტუმრო და კაფე კოშკი."

აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე ლიდა საუბრობენ სასტუმროების მფლობელები.

ბი.

ნოდარ ნაკანი, სასტუმრო სვანეთის მფლობელი: სასტუმრო ნაწილობრივ ჩემი საკუთრებაა, ფრანგი მყავს პარტნიორი. 2001 წელს ჩემთან სტუმრად იყო ჩამოსული და სვანეთი იმდენად მოიხიბლა, რომ ინვესტიციის განხორციელება გადაწყვიტა. ეს შენობა ნაწილობრივ პროვაიზორული მქონდა. მაშინ სიგიჟე იყო იმაზე ფიქრი, რომ აქ ტურიზმის განვითარების პერსპექტივა გაჩნდებოდა. კრიმინალური ფონი ძალიან მიძიე იყო. მაგრამ ჩემს ფრანგ სტუმარს ინვესტიციის განხორციელების სურვილი მაინც გაუჩნდა და ამ საქმეში 35 ათასი დოლარი ჩადო, თუმცა მასაც ფინანსუ-

უცხოეთი

"ნაბუკო", ყარაბაღი და მსოფლიოს "გადატვირთვა"

ივა ჟილაკაძე

ორმაბათის ანკარაში გაზაფხულს ნაბუკოს მშენებლობის შესახებ გაფორმებულმა ხელშეკრულებამ მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა ევროპისთვის პირველხარისხოვან ამოცანად აქცია.

"ნაბუკო" უკვე მესამე სტრატეგიული პროექტია რეგიონში, სადაც ერთდროულად რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი რჩება გადაუწყვეტელი. ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში სულ უფრო ოპტიმისტური განცხადებები ისმის, მათგან ბოლო იტალიურ ქალაქ აკვილაში, "დიდი რეიანის" სამიტზე გაკეთდა. რუსეთის საფრანგეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა, რომლებიც ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნების ხელმძღვანელები არიან, დადასტურეს თავიანთი განწყობა სამშვიდობო გზების საძიებლად.

ლონდონში არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა, რომელსაც ორგანიზაცია "შერიგების რესურსები" უდგას სათავეში, ახალი ინიციატივის "ყარაბაღი 2014"-ის შესახებ გამოაცხადა. ეს ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს აზერბაიჯანელებისა და სომხების მშვიდობიან დაახლოებას.

ორმაბათის ლონდონში ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე მან რუსულ ტელეარხ "ვესტისთვის" მიცემულ ინტერვიუში პირველად განაცხადა, რომ "მთიანი ყარაბაღის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გაურკვეველი დროით გადაიდოს". ქმნის თუ არა ეს ყველაფერი ოპტიმიზმის საფუძველი?

პრეზიდენტების მიერ ნახსენები "ძირითადი პრინციპები" 2007 წელს მადრიდში იქნა წარდგენილი, კერძოდ:

- მთიანი ყარაბაღის გარშემო სომხების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული რაიონების დაბრუნება აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ;
- ყარაბაღისთვის დროებითი სტატუსის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს



2009 წლის 4 ივნისს სანქტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე გამართული შეხვედრა

უსაფრთხოების და თვითმმართველობის გარანტიებს;

- სატრანსპორტო დერეფნის შენარჩუნე-

ბა, რომელიც აერთებს სომხეთს და ყარაბაღს;

- მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი გადაწყდება მომავალში რეფერენდუმის სა-

შუალებით, რომლის შედეგებიც სავალდებულო იქნება ყველა მხარისთვის;

- ყველა იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი იღებს ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებას.

- უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები სამშვიდობო ძალების მიერ იქნება უზრუნველყოფილი.

ამასთან, გაშინგტონი და მოსკოვი აქტიურად ეძებენ საერთო პროექტს, რომელიც ყველას დაანახებდა, რომ წინააღმდეგობების მიუხედავად, ამერიკის ახალი ადმინისტრაცია და კრემლი ახერხებენ გადაწყვეტი ერთობლივი მოქმედებების განხორციელებას. ასეთ პროექტად იქცა ახალი ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ. ირანის ატომური ამბიციების წინააღმდეგ საერთო მოქმედებები ჯერჯერობით არ გამოვიდა. ყარაბაღს კი ბევრი განიხილავს "პერსპექტიულ" საქმედ.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დასავლეთს აიძულა, ეფიქრა, თუ რა ღირს მშვიდობისმყოფელობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. თუ გაეთვალისწინებთ ერაყისა და ავღანეთის გაკვეთილებს, დასავლეთის ქვეყნების სიფრთხილე ბუნებრივია. მაგრამ "ნაბუკოს" პროექტის რეალიზაციის დაწყების შემდეგ სამხრეთ კავკასია იმდენად მნიშვნელოვანი ხდება ევროპისთვის, რომ მას აქაქტიური მითამამის როლის შესრულება მოუწევს.

საკითხი მხოლოდ ის არის, მიიღებს თუ არა ახალ მითამამეს რუსეთი.

დღეს მოსკოვში ერთმანეთს ხედებიან აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი. მათი მოლაპარაკებების მთავარი თემა ისევ მთიანი ყარაბაღი იქნება. ხვალ ისინი რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს შეხვდებიან. ამ შეხვედრისგან ახალს და საინტერესოს არაფერს ელოან საკითხის არსში მეტ-ნაკლებად ჩახედული ექსპერტები არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში და არც რუსეთში. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მაინც ამ სახელმწიფოებში არსებული წინასწარი განწყობაა. მადრი-

რი პრობლემები გაუჩნდა და ბოლო 6 წელის მანძილზე შენობის რეკონსტრუქცია, ფაქტობრივად, შეჩერებული იყო. შემდეგ კრიმინალური მდგომარეობა გამოსწორდა და ბანკებმა დაკრედიტება დაიწყეს. პროგრესიტი ბანკიდან ავიღეთ სესხი 60 ათასი ლარის ოდენობით. მერე გამოჩნდნენ ეს ლევისნიერი ადამიანები. გამოცხადებული იყო გრანტი. პრინციპში ყველა პირობას ვაკმაყოფილებდით. სასტუმრო მესამე თვეა, რაც ფუნქციონირებს. USAID-ის გრანტმა სტიმული მოგვცა. სასტუმროში ორადგილიანი ნომერი სამჯერადი კეებით 140 ლარი ღირს. საქართველოში ყველა სერიოზულ ტურისტულ კომპანიასთან ვთანამშრომლობ. პაკეტი ანუ ტური ერთი წლით ადრე იყო დება. გასულ წელს, რადგან სასტუმრო არ ფუნქციონირებდა, ეს პაკეტი ვერ გაიყიდა. წელს გაიყიდა მომავალი წლის სეზონისთვის. სასტუმროს მშენებლობა ჯამში 450 ათასი ლარი დამიჯდა.

ზურა დედუარიანი, სასტუმრო მესტიის მფლობელი: სასტუმროს რეკონსტრუქცია სპონსორად მიმდინარეობდა. ამ ტიპის ბიზნესის სანარმოებლად საკმაოდ რთული რეგიონია. USAID-ის გრანტის სახით 25 ათასი დოლარი მივიღეთ, რაც მთლიანად გახარჯული თანხის, დაახლოებით, 5 პროცენტია. სასტუმროში, რომელიც ასი პროცენტით საოჯახო ბიზნესია, სხვადასხვა კატეგორიის 14 ნომერია. ფასები 50 ლარიდან იწყება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სასტუმრომ გამართულად იმუშაოს. მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურიზმის სფეროში საქმიანობის გამოცდილება არ მაქვს, აქტიურად ვთანამშრომლებ ტურისტულ სააგენტოებთან. მომავალში ბიზნესის გაფართოებას ვაპირებთ, შევიძენი სატრანსპორტო საშუალებებს, დავგეგმავთ ტურებს."

სვანეთში ტურიზმის განვითარების პერსპექტივა გაჩნდა. მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება საოჯახო სასტუმროების მოწყობაში დაეხმარება და ამ რეგიონის გასაძლიერებლად ინვესტიციებს მოიზიდავს.

დის პრინციპებში ბევრი რამ მართლაც გაურკვეველია და იქ არის პუნქტები, რომლებსაც არასდროს დათანხმდება სომხეთი, ხოლო ნაწილს არასდროს დათანხმდება აზერბაიჯანი.

ალბათ ისიც უნდა გაეთვალისწინოთ, რომ როდესაც ექსპერტები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის როლსა და მის ინტერესებზე ლაპარაკობენ, მათი უშრავლესობა დიპლომატიურად გვერდს უვლის ამ ინტერესების დაფიქსირებას. რუსეთი ხომ ამ კონფლიქტის ფაქტობრივი მხარეა, ის ორივე ქვეყანას აიარალებდა და სპეციალისტებითაც ესმარებოდა. მისი ინტერესი სწორედ კონფლიქტის მოუგვარებლობა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა, რათა აქ წყნარ სიტუაციაში დასავლეთმა ფეხი ვერ მოიკიდოს და ენერგომატარებულების უსაფრთხო ტრანზიტის პირობები არ შეიცმნას.

კონფლიქტის მოსაგვარებლად მარტო ცივილიზებული ქვეყნების სურვილი და ძალისხმევა არ კმარა. ჯერ ამის სურვილი თვით მონაწილე ქვეყნებს, სომხეთს და აზერბაიჯანს უნდა გაუჩნდეთ, შემდეგ ამ პროცესიდან რუსეთის გამოთიშვა უნდა მოახერხონ. თუმცა საუკუნეებში მიმავალი ღრმა ფესვების მქონე ამ კონფლიქტის მოგვარება მაინც ურთულეს ამოცანად დარჩება. სხვა შემთხვევაში ეს პრობლემა შეიძლება "გადაწყდეს" მხოლოდ საბჭოთა კავშირის პრინციპებით. რომელიმე ძლიერმა "შუამავალმა", რუსეთი იქნება ეს, დასავლეთი თუ ჩინეთი, სამხრეთ კავკასიაში გააღწია მთლიანად უნდა ჩაიგდოს ხელში და მხარეებს უბრალოდ რომელიმე, მათთვის სასარგებლო ვარიანტის მიღება აიძულოს. საბჭოთა კავშირის დროსაც ასეთმა გადაწყვეტამ მხოლოდ ამ სახელმწიფოს არსებობის პერიოდში იმუშავა, მერე კი ეს ნელი მოქმედების ნაღმი მათივე სპეცსამსახურების დახმარებით ისევ აფეთქდა.

ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი

გთავაზობთ

საზაფხულო აქციას

1 ივლისიდან



მხოლოდ ერთი თვე
სამაჯური ღირებულების გარეშე!
**ONLY ONE MONTH
BRASLET WITHOUT DEPOSIT**



ტელ: 25 25 75

ი. ჭავჭავაძის გამზირი №49^ბ

პაციენტების საყურადღებოდ!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გათვალისწინებულია ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გათვალისწინებით:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ახალი ფასები!

ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაართეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!



ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

სტუდენტ არჩევანი

თამარ ჯიჟნაძე

გუშინ, " — -ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსულმა სააგენტომ, სახელწოდებით **lenta.ru**, გაავრცელა სიახლე, რომელიც ქართველ რეჟისორს, რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რობერტ სტურუას ეხება - ის სამამულო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის" გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის რუსული პრემიის ლაურეატი გახდა.

უცხოეთში ცნობილი ქართველი თეატრალური რეჟისორი პრემიებითა და ჯილდოებით, შეიძლება ითქვას, რომ განებივრებულია. სხვა არაერთ ნოდებასთან ერთად, რობერტ სტურუა არის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და პატრიარქის საპატიო ნოდების" მფლობელი. ეს უკანასკნელი მას თეატრალური პრემიის - თოლია", VI ცერემონიაზე მიენიჭა.

რეჟისორს, რომელმაც რუსთაველის თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა, რუსეთში დადგმული აქვს სპექტაკლები: "პამლეტი" და "სინიორ ტოდერო" (სატირიკონი"), "შეილოკი" და კრეპის უკანასკნელი ფირი" (ET CETERA). ასევე, პეტრე ჩაიკოვსკის "მაზეპა" (დიდი თეატრი). თუმცა, საქართველოში გასული წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ რობერტ სტურუამ რუსეთის მხრიდან მისთვის შეთავაზებულ დიდ პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა



და ამ ნაბიჯით საკუთარი პოზიცია გამოხატა.

მოისურვებს თუ არა რობერტ სტურუა 2 ნომბერს სანკტ-პეტერბურგში ჩასვლას იმისათვის, რომ მიხაილოვის სახელობის თეატრში გამართულ ოქროს სოფიტის" გადაცემის ცერემონიას დაესწროს და მისთვის მინიჭებული პრემია

აილოს, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, რუსული საინფორმაციო სამსახურები, მათ შორის, სააგენტოები, უკვე ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ამ დღეს ქართველი რეჟისორი რუსეთში აუცილებლად ჩავა. ნამდვილად ჩავა თუ არა - სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რუსეთში ძალიან უნდათ რო-

ბერტ სტურუა პეტერბურგში იხილონ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, რობერტ სტურუას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. გაემგზავრება თუ არა ის სანკტ-პეტერბურგში? ამ შეკითხვაზე პასუხს გაზეთი 24 საათი", სავარაუდოდ, რუსთაველის თეატრის სეზონის დახურვასთან

დაკავშირებით გამართულ პრესონფერენციაზე შეიტყობს. როგორც ამ თეატრის მმართველმა, ზაალ ჩიქობავამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, სეზონის შემაჯამებელ შეხვედრას სამხატვრო ხელმძღვანელი აუცილებლად დაესწრება იმ შემთხვევაში თუ თბილისში იქნება და ტოვსტონოგოვის სახელობის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გაჩენილ შეკითხვებსაც თავად უპასუხებს.

აღსანიშნავია, რომ რეჟისორს, რომელსაც გასული წლის 31 ივლისის დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, 2008 წელს რუსული მეგობრობის" ორდენიც მიენიჭა, ამჯერად რუსული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების განმტკიცებისათვის". ეს მოხდა 2008 წლის აგვისტომდე. აგვისტოს შემდეგ კი, თითქმის, ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა არ შეცვლილა.

ვიდრე ამ ამბის გაგრძელებას ვნახავთ, ვფიქრობ, ქართველ მაყურებელს რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის ნახვის საშუალება მიეცემა. რეჟისორი ახალი სეზონის გახსნისთვის საპრემიეროდ მაქს ფრიშის ნაწარმოების მიხედვით განხორციელებულ სპექტაკლს ბიდერმანი და მეხანძრეები", წარმოგიდგენს.

ამბები გადასაღები მოედნიდან


სტივენ სოდერბერგს კარიერის მიტოვება აქვს გადაწვეტილი

